სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31054145393714

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის / სამეწარმეო ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140573563

რეგისტრაციის თარიღი

05.06.2014 წ

ნოტარიუსი: კონსტანტინე ჯაფარიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #137
ტელეფონი: 599903320 8790945510

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ბინების განაწილების შესახებ შეადგენენ ოქმს ერთობლივად და ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან წინამდებარე აქტით დადგენილი ნორმები.

3. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

4. ბინების გადანაწილების შესახებ შეთანხმება შეიძლება დამოწმდეს სანოტარო აქტით.

მუხლი 8.

დამფუძნებელთა (მონაწილეთა) პასუხისმგებლობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) სოლიდარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალებისათვის მესამე პირების წინაშე.

2. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს (მონაწილეს) მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3. დამფუძნებლები (მონაწილეები) ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 9.

ამხანაგობიდან გასვლის წესი

1. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

ამხანაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე სამი თვით ადრე წერილობით აცნობოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

2. ამხანაგობიდან ერთერთი დამფუძნებლის (მონაწილის) გასვლისას, თუ ამხანაგობაში რჩება ერთი მონაწილე, ხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია, ხოლო თუ ამხანაგობის მონაწილეთა რაოდენობა ორზე მეტია, მაშინ გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მონაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

3. გამსვლელ დამფუძნებელს (მონაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

4. თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მონაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მონაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

5. ამხანაგობის წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრობიდან თუ იგი არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ხელს უშლის (უმოქმედობით) ამხანაგობას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევაში.

6. ამხანაგობის წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის რიგებიდან იმ შემთხვევაშიც , თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ „ამხანაგობის“ დანარჩენ წევრებს.

7. შენატანის განუხორციელებლობისას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში ამხანაგობიოს თავჯდომარე ან დამფუძნებელი წევრი ამგვარ წევრს განუსაზღვრავს და,მატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაში შენატანი არ

განხორციელდება , " დამფუძნებელი წევრები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ.

8. წევრის გარიცხვის შემთხვევასი მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი რის თაობაზეც ცვლილება წარდეგინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქთბილისის სარეგისტრაციო სამსახურს რეგიუსტრაციისათვის.

9. წევრის გარიცხვის შემდეგ გამოთავისუფლებული ფართი შემდგომში განთავსდება საერთო წესით " დამფუძვნებელ წევრთა გადაწყვეტილებით"

10. ამახანაგობიდან გარიცხვისას წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა ამასთან დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 2% და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამოთავისუფლებული ფართი განთავსებული იქნება..

მუხლი 10.
ამხანაგობის ვადა

1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით.

2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი (მონაწილე);

ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

2. ამხანაგობის ერთერთი დამფუძნებლის (მონაწილის) უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება, ლიკვიდაცია) მის ადგილს იკავებს უფლებამონაცვლე (მემკვიდრე), თუ სხვა დამფუძნებლები (მონაწილენი) არ განაცხადებენ უარს ამხანაგობის საქმიანობის გაგრძელებაზე.

მუხლი 11.
ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი

1. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, შემდეგ დაიფაროს არსებული ვალები. თუ ამხანაგობის საქმიანობით მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი ვალების დასაფარავად, დამფუძნებლები (მონაწილენი) ვალდებულნი არიან ვალები დაფარონ თავიანთი ქონებიდან მათი წილების პროპორციულად.

2. ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება ნაწილდება წინამდებარე აქტის მესამე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 12.
დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და წარედგინება საჯარო რეესტრს.

2. წინამდებარე აქტში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან, თუ ცვლილება თავისი შინაარსის გამო ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

3. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს იმ მუხლების გაუქმებას, რომლებითაც დადგენილია **პარტნიორთა** (მონაწილეთა) ვალდებულებები ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.

4. წინამდებარე აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი სახისა და ფორმის გარიგება, რომელიც ეხება წინამდებარე აქტით განსაზღვრულ გარიგების საგანს.

5. წინამდებარე აქტი შედგენილია ცხრა თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა ამხანაგობის მონაწილეებს."

დანართები:

წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:

1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № № 01.14.02.025.127, განცხადების რეგისტრაციის № 882014285497 - 03/06/2014 13:48:15, მომზადების თარიღი: 04/06/2014 13:13:17)

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 23, 39 მუხლებისა:):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 2404.33 ლარი (გარიგების ღირებულება: 2483655 ლარი);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი.

სულ: 2406.33 ლარი."

მე, ნოტარიუსმა, ამხანაგობის დამფუძნებლებს (წარმომადგენლებს) წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებმა (წარმომადგენლებმა) წაიკითხეს წინამდებარე აქტი, დანართებითურთ და განაცხადეს, რომ იწონებენ წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.



სანოტარო აქტი
ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
„ნუცუბიძე 2014“-ს
დაფუძნების შესახებ

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ხუთ ივნისს მე, კონსტანტინე ჯაფარიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №137, მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

1) ქალბატონმა **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძემ** (დაბადებული 09.09.1978 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდნიძის ქ. კორ. 1, ბინა 70. პირადი № 31001001089);

2) ქალბატონმა **ნანა ზარქუამ** (დაბადებული 26.08.1955 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: მცხეთა, წმინდა ნინოს ქ. №16. პირადი №31001012313);

3) ქალბატონმა **თამარ გუჯაბიძემ** (დაბადებული 10.06.1981 წ. მცხეთაში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდნიძის ქ. №3, ბინა 15. პირადი № 31001010234);

4) ქალბატონმა **თეკლა ფორჩხიძემ** (დაბადებული 13.08.1986 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. 12. პირადი № 01017027598);

5) ბატონმა **კახაბერ გოზალიშვილმა** (დაბადებული 10.04.1966 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, გლდანი, VI მ/რ, კორ. 29, ბინა 65. პირადი № 01001008356);

მე ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ანა ბაჯაძე-გუჯაბიძემ, ნანა ზარქუამ, თამარ გუჯაბიძემ, თეკლა ფორჩხიძემ და **კახაბერ გოზალიშვილმა** განაცხადეს, რომ სურთ ამხანაგობის ჩამოყალიბება კონკრეტული სამეურნეო მიზნის მისაღწევად და მოითხოვეს შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (სანოტარო წესით დამოწმება) ჩემს მიერ.

მე დავადგინე მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე წინამდებარე აქტის დადების სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, საგადასახადო სამართლებრივი შედეგები (მათ შორის ამხანაგობაში ახალი წევრის მიღების საგადასახადო სამართლებრივი შედეგები), ამ განმარტებების მოსმენის შემდეგ მხარეებმა დადეს შემდეგი აქტი:

“მუხლი 1.
ამხანაგობის სახელწოდება,
დამფუძნებლები (მონაწილეები) და სტატუსი

1. ამხანაგობის სრული სახელწოდებაა “ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“** (შემდგომში – “ამხანაგობა”).

2. ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსდება მისამართზე: **ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129.**

3. წინამდებარე აქტის დამოწმების დღისათვის ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან:

1) **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე** (დაბადებული 09.09.1978 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდნიძის ქ. კორ. 1, ბინა 70. პირადი № 31001001089);

2) ნანა ზარქუა (დაბადებული 26.08.1955 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: მცხეთა, წმინდა ნინოს ქ. №16. პირადი №31001012313);

3) თამარ გუჯაბიძე (დაბადებული 10.06.1981 წ. მცხეთაში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდნიძის ქ. №3, ბინა 15. პირადი № 31001010234);

4) თეკლა ფორჩხიძე (დაბადებული 13.08.1986 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. 12. პირადი № 01017027598);

5) კახაბერ გოზალიშვილი (დაბადებული 10.04.1966 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, გლდანი, VI მ/რ, კორ. 29, ბინა 65. პირადი № 01001008356);

4. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და იგი არ ისახავს სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით. ამხანაგობა შექმნილია წინამდებარე აქტის მე-2 მუხლით დადგენილი მიზნით.

5. ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში გახსნის საბანკო ანგარიშებს, მათ შორის, სავალუტო ანგარიშს.

6. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციისა და საბანკო ანგარიშის გახსნისათვის საკმარისი იქნება ამხანაგობის წარმომადგენლის უფლებამოსილების მქონე პირის (ამხანაგობის თავმჯდომარის) მიერ წინამდებარე აქტის დედნის, ან დამოწმებული ასლის წარდგენა.

მუხლი 2.
ამხანაგობის მიზანი

1. ამხანაგობის დამფუძნებელთა (მონაწილეთა) მიზანია წინამდებარე აქტით განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (დაახლოებით 7000.00 კვ.მ. ფართის, რომელშიც იქნება აგრეთვე არასაცხოვრებელი ფართი) ასაშენებლად (შემდგომში – „საცხოვრებელი სახლი"). საცხოვრებელი სახლის სართულების რაოდენობა, სახლში ბინების რაოდენობა და სხვა მახასიათებლები დადგინდება და დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციით.

2. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს შემდეგ მიწის ნაკვეთზე, რომლის მახასიათებლებია:
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.02.025.127
ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი
თბილისი ვაკე
01 14 02 025/127
მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2085.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:01.14.02.025.007;
მესაკუთრეები:
ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე ,P/N: 31001001089
თამარ გუჯაბიძე ,P/N: 31001010234
თეკლა ფორჩხიძე ,P/N: 01017027598
ნანა ზარქუა ,P/N: 31001012313
მესაკუთრე: აღწერა:
ნანა ზარქუა
ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე
თამარ გუჯაბიძე
თეკლა ფორჩხიძე
იპოთეკა საგადასახადო გირავნობა: რეგისტრირებული არ არის
სარგებლობა

მოიჯარე: შპს "გამა" 208208198;
მესაკუთრე: ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე P/N: 31001001089; თამარ გუჯაბიძე P/N: 31001010234; ნანა ზარქუა P/N: 31001012313; თეკლა ფორჩხიძე P/N: 01017027598;
საგანი:მიწის ფართი 300.00 კვ.მ;
საბოლოო თარიღი:01/01/2015;
საიჯარო ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი12/02/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ცვლილება საიჯარო ხელშეკრულებაში, დამოწმების თარიღი25/02/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვალდებულება ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის
მოვალეთა რეესტრი: რეგისტრირებული არ არის.

3. საცხოვრებელი სახლის პარამეტრები დაზუსტდება საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტის დამტკიცების შემდეგ, რაც არ საჭიროებს წინამდებარე აქტში ცვლილების შეტანას.

4. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დასრულდეს ორი (2) კალენდარული წლის და ოთხი (4) განმავლობაში. ამ ვადის ათვლა იწყება მშენებლობის ნებართვის მიღების მეორე დღიდან.

მუხლი 3.
დამფუძნებელთა (მონაწილეთა) შენატანი ამხანაგობაში
და სხვა ვალდებულებები

1. ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) ამხანაგობაში შეაქვთ:

ა) უძრავი ქონება, მითითებული ამ მუხლის მომდევნო პუნქტში;

ბ) მომსახურება, სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა, მითითებული ამ მუხლის მომდევნო პუნქტებში.

2. ანა ბაჯაძე-გუჯაბიძეს, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძეს, თეკლა ფორჩხიძეს ამხანაგობაში შენატანის სახით შეაქვთ შემდეგი მახასიათებლების მქონე მიწის ნაკვეთი:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.02.025.127

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	14	02	025/127

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ნუცუბიძე, N 129
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2085.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:01.14.02.025.007;
მესაკუთრეები:
ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე ,P/N: 31001001089
თამარ გუჯაბიძე ,P/N: 31001010234
თეკლა ფორჩხიძე ,P/N: 01017027598
ნანა ზარქუა ,P/N: 31001012313
მესაკუთრე: აღწერა:
ნანა ზარქუა
ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე
თამარ გუჯაბიძე
თეკლა ფორჩხიძე
იპოთეკა საგადასახადო გირავნობა: რეგისტრირებული არ არის
სარგებლობა
მოიჯარე: შპს "გამა" 208208198;
მესაკუთრე: ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე P/N: 31001001089; თამარ გუჯაბიძე P/N: 31001010234; ნანა ზარქუა P/N: 31001012313; თეკლა ფორჩხიძე P/N: 01017027598;
საგანი:მიწის ფართი 300.00 კვ.მ;

საბოლოო თარიღი:01/01/2015;
საჯარო ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი12/02/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ცვლილება საჯარო ხელშეკრულებაში, დამოწმების თარიღი25/02/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვალდებულება ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის
მოვალეთა რეესტრი: რეგისტრირებული არ არის..

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.02.025.127, რომელიც მხარეთა მიერ შეფასებულია 521250 (ხუთასოცდაერთი ათას ორასორმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად

3. წინამდებარე აქტის მიღების (სანოტარო წესით დამოწმების) დღისათვის ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული შენატანი წარმოადგენს ამ შემტანების თანასაკუთრებას, და იგი არ არის სადავო და ყადაღადადებული, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1) **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.14.02.025.127, განცხადების რეგისტრაციის № 882014285497 - 03/06/2014 13:48:15, მომზადების თარიღი: 04/06/2014 13:13:17);**

4. **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძის, თეკლა ფორჩხიძის** განცხადებით, მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია მიწის ნაკვეთის მიმართ, მათ შორის, პრეტენზია საკუთრების უფლებაზე.

5. **კახაბერ გოზალიშვილს** ამხანაგობაში შენატანის სახით შეაქვს საცხოვრებელი სახლის აშენების საწყისი ეტაპის ფინანსური უზრუნველყოფა და სამშენებლო სამუშაოებისათვის ფინანსირების შემდგომი მოზიდვა-მოძიება. საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოთა სრული შესრულება.

7. **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძემ, ნანა ზარქუამ, თამარ გუჯაბიძემ, თეკლა ფორჩხიძემ** მიწის ნაკვეთის შეტანით სრულად განახორციელეს მათი შენატანი ამხანაგობაში და მათ რაიმე დამატებითი შენატანის განხორციელება არ ევალებათ.

8. **კახაბერ გოზალიშვილს** ეკისრება საცხოვრებელი სახლის აშენების სრული დაფინანსება.

9. **კახაბერ გოზალიშვილს** ეკისრება საცხოვრებელი სახლის აშენების, სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ორგანიზება, სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება-დამტკიცება.

10. საცხოვრებელი სახლის აშენების უზრუნველყოფა გულისხმობს საცხოვრებლი სახლის აშენებას პროექტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

11. **კახაბერ გოზალიშვილის** მიერ მშენებლობის დაფინანსება მოხდება მშენებლობის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

12. ამხანაგობის მონაწილეთა შენატანები ხდება ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაღუპვის (განადგურების) შემთხვევაში.

13. ამხანაგობის იმ მონაწილის შენატანის ოდენობა, რომელმაც შენატანის სახით შეიტანა უძრავი ქონება მითითებული მე-3 მუხლის 2-ე პუნქტში, რაც დადგენილია წინამდებარე აქტით, არ შეიძლება გაიზარდოს მისი თანხმობის გარეშე.

14. ამხანაგობის მონაწილეებმა, რომლებმაც შენატანის სახით შეიტანეს მიწის ნაკვეთი, ამხანაგობის სხვა მონაწილეების წინაშე პასუხს აგებს, თუ მიწის ნაკვეთი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლული. პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებითაც დადგენილია გამყიდველის პასუხისმგებელობა უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შემთხვევისათვის, კერძოდ:

იმ შემთხვევაში, თუ შენატანი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის მონაწილენი ვალდებულნი არიან თავიანთი ხარჯით გამოასწორონ ეს ნაკლი. თუ ამხანაგობის სხვა მონაწილენი არ მოითხოვენ ნაკლის გამოსწორებას ამხანაგობის მონაწილეების ხარჯით, ისინი უფლებამოსილნი არიან გამოასწორონ ნაკლი თავიანთი ხარჯით და, შესაბამისი ოდენობის

ფართი მოაკლდეს შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის მონაწილეებისათვის გადასაცემ ფართებს.

15. ამხანაგობის მონაწილე, რომელსაც შენატანის სახით ეკისრება საცხოვრებელი სახლის აშენების სამშენებლო სამუშაოთა შესრულება უზრუნველყოფა, ამხანაგობის სხვა მონაწილის წინაშე პასუხს აგებს მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილ გრაფიკზე ორი თვის ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში და, თუ გამოწვეულია მისი ბრალით, კერძოდ, მას ამხანაგობის სხვა მონაწილეების სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ეტაპზე შესატანი თანხის ნოლი მთელი და ერთი მეათედი პროცენტის (0,1%-ის) ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადის დარღვევიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, ამასთანავე, პირგასამტეხლო დაერიცხება ორი თვის ვადის ათვლის დასაწყისი დღიდან. პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომელიც არსებობს ამხანაგობის მონაწილე – ვალდებული პირის ნებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ვალდებული პირის ძალისხმევით (ფორს-მაჟორული გარემოებები).

16. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მიზანი ვერ იქნება მიღწეული და ამ საფუძვლით მოხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია, მესამე პირთა მიმართ ამხანაგობის ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება (თუკი იგი ლიკვიდაციის შემდეგ არ გამოვა ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებიდან – ამხანაგობის ვალების დაფარის მიზნით მისი რეალიზაციის შედეგად) გაიყოფა ამხანაგობის მონაწილეთა მიერ ფაქტიურად გაღებული ხარჯების (ამხანაგობაში განხორციელებული შენატანების) პროპორციულად.

17. ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ, დარჩენილი ქონება გაყიდონ და ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი წესით გაინაწილონ გაყიდვით მიღებული თანხა.

18. ამხანაგობის თითოეული მონაწილე პასუხს აგებს ამხანაგობის მეორე მონაწილისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამასთანავე, ეს ზიანი არ შეიძლება დაიფაროს ამხანაგობის მიერ მიღებული შემოსავლებით.

19. **კახაბერ გოზალიშვილი** ვალდებულია, 2014 წლის ორ ოქტომბრამდე მიიღოს მშენებლობის ნებართვა. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძეს, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძეს, თეკლა ფორჩხიძეს** უფლება აქვთ მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ მუხლის მე-19 პუნქტით დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, თუ არ არსებობს ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან სხვა პატივსადები მიზეზის გამო ვადის გაგრძელების საფუძველი, **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძეს, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძეს, თეკლა ფორჩხიძეს** უფლება აქვთ, გავიდნენ ამხანაგობიდან და გაიტანონ ამხანაგობაში მათ მიერ შეტანილი უძრავი ქონება, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მეორე პუნქტში და მე-3 მუხლის მეორე პუნქტში. ამასთანავე, ამ შემთხვევაში მათ არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა ამხანაგობის სხვა წევრების სასარგებლოდ ან ამხანაგობის/ამხანაგობის სხვა წევრების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება. ამ უფლების მოქმედება გრძელდება შენობა-ნაგებობის მშენებლობის დაწყებამდე. მშენებლობის დაწყებად ითვლება მიწის სამუშაოების დაწყება;

20) **კახაბერ გოზალიშვილი** ს მიერ შენობა-ნაგებობის მშენებლობა განხორციელდება შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

ა) შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობა ნებართვის მიღებიდან სამი თვის ვადაში;

ბ) შენობა-ნაგებობის მიწის ზედა 1-ლი სართულის კონსტრუქციის (რიგელები და სვეტები ჩასხმული, 1-ლი და მე-2 სართულებს შორის რკინაბეტონის სართულსშუა გადახურვის ფილა დასხმული) აშენება - საძირკვლის მოწყობიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში;

გ) შენობა-ნაგებობის მე-4 სართულის კონსტრუქციის (რიგელები და სვეტები ჩასხმული, მე-4 სართულის ჭერის ჩათვლით) აშენება - საძირკვლის მოწყობიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში;

დ) შენობა-ნაგებობის ყველა სართულის კონსტრუქციის და გარე პერიმეტრის კედლების აშენება - არაუგვიანეს მშენებლობის დაწყებიდან 28 თვის ვადაში;

ე) შენობა-ნაგებობის მშენებლობის (ექსპლოატაციაში შესვლა) დასრულება და **კახაბერ გოზალიშვილის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება მშენებლობის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში;

1. ვადის დარღვევად არ ჩაითვლება **კახაბერ გოზალიშვილის** მიერ წინამდებარე ხელშკერულების მე-3 მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენა ექვსი თვით, ასევე თუ სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გამოწვეული იქნება **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძის, თეკლა ფორჩხიძის** ან მესამე პირის ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით;

2. **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძის, თეკლა ფორჩხიძის,** მომოჯნავე მიწის მესაკუთრეების ან მესამე პირის მიერ სამშენებლო სამუშაოების შეჩერების (შეფერხების) შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადები გაიზრდება შეჩერებული (შეფერხებული) პერიოდის შესაბამისად.

ამ მუხლის წინა პუნქტებით დადგენილი ვადების ბრალეული დარღვევის შემთხვევაში **კახაბერ გოზალიშვილი** ვალდებულია **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძის, თეკლა ფორჩხიძის** გადაუხადოს პირგასამტეხლო (0,1%-ის) ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადის დარღვევიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, ამასთანავე, პირგასამტეხლო დაერიცხება ორი თვის ვადის ათვლის დასაწყისი დღიდან. პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომელიც არსებობს ამხანაგობის მონაწილე – ვალდებული პირის ნებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ვალდებული პირის ძალისხმევით (ფორს-მაჟორული გარემოებები). ეს თანხა გადახდილ უნდა იქნას შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის შემდეგ უფლებამოსილი პირის მოთხოვნიდან 50 კალენდარულ დღეში.

მუხლი 4.
მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი.
ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

1. თითოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს ამხანაგობის მონაწლითა კრების თანხმობით.

უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. წილის გასხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას და საჯარო რეესტრში აღრიცხვას.

2. წილის გაყიდვის შემთხვევაში მეორე მონაწილეს აქვს მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

3. მონაწილე, რომელიც აპირებს წილის მესამე პირისათვის მიყიდვას, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მონაწილეს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წილის გამყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ვადა.

4. დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე აქტიდან, არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.

მუხლი 5.
ამხანაგობის ხელმძღვანელობა

1. ამხანაგობის მართვის ორგანოებია ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა (მონაწილეთა) კრება, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შეასასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრის მიერ (შემდგომში – ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება), ამხანაგობის წევრთა კრება (შემდგომში – ამხანაგობის წევრთა კრება) და ამხანაგობის თავმჯდომარე.

2. ამხანაგობის წევრთა კრება იკრიბება საჭიროებისამებრ. ამხანაგობის წევრთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმათა ასი (100) პროცენტით. ამხანაგობის მონაწილეთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმათა ასი (100) პროცენტით. ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების შესახებ დგება კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი, შესაძლებელია სხვა წევრების ხელმოწერაც.

3. კრებაზე ამხანაგობის თითოეულ მონაწილეს წარმოადგენს ამ მონაწილის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

4. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობა წარმოადგინოს დამოუკიდებლად, მათ შორის, სასამართლოსა და საბანკო ურთიერთობებში, დადოს გარიგებები ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების გარეშე, გარდა ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა.

5. ამხანაგობის სახელით შემდეგი გარიგებები დაიდება მხოლოდ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების თანხმობით:

ა) ამხანაგობის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და კრედიტის (სესხის) უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) ხელშეკრულება;

ბ) ამხანაგობის მიერ თავდებობის წერილის გაცემა, ან სხვა მსგავსი გარიგება, მესამე პირთა გარანტიის (თავდებობის) მიღება.

გ) ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით და/ან რაიმე სახის ვალდებულებით დატვირთვა.

დ) ამ აქტით დადგენილი სხვა გარიგება.

5.1. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) „ამხანაგობის“ ძირითადი ორგანიზაციულ ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

ბ) „ამხანაგობაში“ წევრთა მიღება;.

გ) „ამხანაგობაში“ ჩვეულებრივ წევრთა მიღება.

დ) განუთავსებელი ფართების განაწილება

ე) „ამხანაგობის“ წევრის “ამხანაგობიდან“ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ვ) „ამხანაგობის“ წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა;

ზ) „ამხანაგობის“ ყველა წევრს გააჩნია ერთი ხმა, მიუხედავად „ამხანაგობაში“ მათი წილობრივი შენატანებისა.

თ) ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ქონების, ასევე გაცვლის, გაყოფის ან შეძენის შედეგად მიღებული ქონების გაასხვისება და განკარგვა.

ი) ამხანაგობის თავმჯდომარის დანიშვნა-გათავისუფლება, თუ თავმჯდომარე დაარღვევს ამ აქტით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

6. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

7. ამხანაგობის თითოეული მონაწილე უფლებამოსილია თავმჯდომარისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი), დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

8. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

9. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

10. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა დამფუძნებლებს (მონაწილეებს).

11. ამხანაგობის მონაწილეთა გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარედ დაინიშნა **კახაბერ გოზალიშვილი** (დაბადებული 10.04.1966 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, გლდანი, VI მ/რ, კორ. 29, ბინა 65. პირადი № 01001008356).

12, ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლა არ საჭიროებს წინამდებარე აქტში ცვლილების შეტანას.

13. ამხანაგობის დამფუძნებელთა შეთანხმებით, ამხანაგობის კრების იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტში და მე-5 მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ საკითხებს, სავალდებულოა ამხანაგობის თავმჯდომარის და წევრის **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე** (პირადი № 31001001089) ხელმოწერა.

მუხლი 6
გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. დამფუძნებლები (მონაწილეები) გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა ასი (100) პროცენტით.

2. ერთ დამფუძნებელს (მონაწილეს) აქვს ერთი ხმა მიუხედავად მისი წილისა.

მუხლი 7.
ფართის განაწილების წესი

1. ამხანაგობის დამფუძნებლებს - **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძეს, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძეს, თეკლა ფორჩხიძეს** მათ მიერ ამხანაგობაში შეტანილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ამ მიწის ნაკვეთზე აშენებული მრავალბინიანი სახლის ფართიდან ინდივიდუალურ საკუთრებაში განესაზღვროთ **1800.00** კვ.მ. ფართი, ხოლო დანარჩენი ფართი განისაზღვროს **ამხანაგობა „ნუცუბიძე 2014“-ის** საკუთრებად. ამასთანავე მხარეები თანხმდებიან, რომ **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძეს, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძეს, თეკლა ფორჩხიძეს** არ ექნებათ არანაირი მოთხოვნის უფლება (გარდა მათ მიერ მისაღები 1800.00 კვ.მ. ფართისა) თუ ამხანაგობის ის წევრი (**კახაბერ გოზალიშვილი**), რომელსაც ევალება საცხოვრებელი სახლის აშენების საწყისი ეტაპის ფინანსური უზრუნველყოფა და სამშენებლო სამუშაოებისათვის ფინანსირების შემდგომი მოზიდვა-მოძიება. საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოთა სრული შესრულება, სრულყოფილად შეასრულებს თავის ვალდებულებებს და ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ჩააბარებს ექსპლოატაციაში საცხოვრებელ სახლს. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს (მონაწილეებს) ფართების ასეთი განაწილება მიაჩნიათ თავიანთი შენატანების ზუსტ შესატყვისად და სამართლიანად.

საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ, ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) ვალდებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ბინების განაწილების შესახებ წინამდებარე აქტის მე-2 და მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

1.1. **ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის, ნანა ზარქუას, თამარ გუჯაბიძის, თეკლა ფორჩხიძის** გადასაცემი ფართები უნდა იყოს შავი კარკასის მდგომარეობაში, კერძოდ ფართი მიყვანილი უნდა იყოს შემდეგ მდგომარეობაში:

ა) შენობა-ნაგებობის პერიმეტრზე ჩასმული მეტალო პლასტმასის კარ-სარკმლები;

ბ) ფართში შესასვლელი რკინის კარი;

გ) ფართში ტიხრები ამოშენებული;

დ) წყალსადენის, კანალიზაციის, ვენტილაციის, ცენტრალური ვერტიკალური დგარები.

შენობა-ნაგებობა მიყვანილ უნდა იქნას შემდეგ მდგომარეობამდე: გარე ფასადი დასრულებული სახით, გარე კარ-სარკმლის დამონტაჟებით; სადარბაზო დასრულებული; შენობა გადახურული პროექტის მიხედვით; ლიფტი დამონტაჟებული; ეზო კეთილმოწყობილი პროექტის მიხედვით;

ფართების ზუსტი მდებარეობის დაზუსტების და მშენებარე შენობა ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მესაკუთრეებს უფლება აქვთ ფართებზე თავიანთი საკუთრების უფლება დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრში.